საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი. აგლაძის ქ. №59, ნაკვეთ ს.კ.01.13.05.003.085-ში საწყობის შენობის და
ქ. თბილისი. ა. წერეთლის გამზ. №118, ნაკვეთ ს. კ. 01.13.05.002.048-ში სავაჭრო ცენტრის
მშენებლობის უბნების საინჟინრო–გეოლოგიურ დასკვნაზე

შპს „მშენაღდგენა/მ-ის
გენდირექტორი მ. ბელიაშვილი

ექსპერტი
ინჟინერ–გეოლოგი მ. სამხარაძე

თბილისი

2017 წ

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი. აგლაძის ქ. №59, ნაკვეთ ს.კ.01.13.05.003.085-ში საწყობის შენობის და ქ. თბილისი. ა. წერეთლის გამზ. №118, ნაკვეთ ს. კ. 01.13.05.002.048-ში სავაჭრო ცენტრის მშენებლობის უბნების .საინჟინრო–გეოლოგიურ დასკვნაზე

ექსპერტი მ. სამხარაძე ტ. 272 18 79

2017 წლის 25 დეკემბერს შპს „პირამიდა 2“-თან გაფორმებული №13 ხელშეკრულების საფუძველზე შპს „მშენაღდგენა/მ“-ის ინჟინერ-გეოლოგმა მურმან სამხარაძემ ჩაუტარა ექსპერტიზა ქ. თბილისი. აგლაძის ქ. №59, ნაკვეთ ს.კ.01.13.05.003.085-ში საწყობის შენობის და ქ. თბილისი. ა. წერეთლის გამზ. №118, ნაკვეთ ს. კ. 01.13.05.002.048-ში სავაჭრო ცენტრის მშენებლობის უბნების .საინჟინრო–გეოლოგიურ დასკვნას.

საინჟინრო-გეოლგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში ექსპეტიზისათვი წარმოდგენილია აკინძული ერთ წიგნად, სადაც ანგარიში შედგება შემდეგი ფურცლებისა და თავებისაგან:

- თავფურცელი – 1 გვ.
- საგიგულო გვერდი დირექტორისა და გეოლოგის ხელმოწერებითა და ბეჭდით– 1 გვ.
- სარჩევი – 1 გვ.
- ანგარიშის ტექსტური ნაწილი – 9 გვ., რომელიც დაყოფილია შემდეგი თავებად: შესავალი; ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები; გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები; და დასკვნები და რეკომენდაციები.
- ტექნიკური დავალება საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასაგარებლად – 2 გვ.
- უბნის ტოპოგეგმა მ 1:500 ჭაბურღილების გაყვანის ადგილების დაგანით – 2 ფ.
- სამშენებლო მოედნის ლითოლოგიური ჭრილები პ. 1:200 ვ. 1: 100 – 3 ფ.
- ჭაბურღილების ლითოლოგიური ჭრილები მ 1 100 – 5 გვ.
- გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგების ჯამური ცხრილი - 1 გვ.
- გრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები - 6 გვ.
- ქვიშაქვებისა და არგილიტების, გამოფიტული ფენის სიმკვრივის ლაბორატორიული კვლევის შედეგები - 4 გვ.
- წყლის ქიმიური და სანიგარული ანალიზის შედეგები - 3 გვ.
- 1 სგე-ის მექანიკური მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობების ცხრილი - 1 გვ.
- ხრეშოვანი გრუნტების ნორმაგიული და საანგარიშო მნიშვნელობები - 1 გვ.

სამშენებლო მოედნები, მდებარეობს ქ. თბილისში, დიდუბეში. საწყობის შენობა განთავსებულია აგლაძის ქუჩისა და სგანისლავკის ქუჩის გადაკვეთაზე. სგანისლავკის ქუჩის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, ხოლო სავაჭრო ცენტრის შენობა განთავსებულია იგივე ქუჩების გადაკვეთაზე საწყობის შენობის მოპირდაპირედ ქუჩის მეორე მხარეს, 24–25 მ-ის დაშორებით სამხრეთ აღმოსავლეთ მიმართულებით.. ორივე უბანი ხასიათდება სწორი რელიეფით და თავისუფალია შენობა ნაგებობისაგან.

ტექნიკური დავალების თანახმად საწყობის შენობა ორსართულიანია, ზომით 64.7X48.0, რომელსაც გააჩნია სარდაფი, მისი ჩაღრმავება 0.00-დან – 3.0 მ-ია.

- შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – II
- დაპროექტების სტადია – სტადია პროექტი
- შენობის ტიპი – კარკასული

ტექნიკური დავალების თანახმად სავაჭრო ცენტრის შენობა ერთსართულიანია, ზომით 79.8X27.65 უსარდაფო.

- შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – II
- დაპროექტების სტადია – სტადია პროექტი
- შენობის ტიპი – კარკასული.

გეომორფოლოგიურად საკვლევი უბანი, მდებარეობს ქ. თბილისში, დიდუბეში, მდ. მტკვრის მარცხენა ჭალისზედა I ტერასაზე, რომლის რელიეფი ხელოვნურად მოსწორებულია და ხასიათდება ჰორიზონტალური რელიეფით, ტერიტორიები განაშენიანებული არ არის, მისი ზედაპირის ნიშნულები ცვალებადობს 409.0–409.5 მის ფარგლებში.

გეომორფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან ან გამომდინარე ს. ნ. და წ. 1.02.07- 87 სავალდებულო დანართი 10-ის თანახმად ორივე უბანი განეკუთვნება I მარტივ სირთულის კატეგორიას და ისინი ხასიათდებიან ერთგვაროვანი აგებულებით.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები ჩატარებულია 2017 წლის თებერვალში შპს „თბილინვესტპროექტის“ ინჟინერ გეოლოგ ი. ცხომელიძის ხელმძღვანელობით.

სამშენებლო უბნის საინჟინრო–გეოლოგიური პირობების შესწავლისა და დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების პირობების დადგენის მიზნით სამშენებლო უბანზე სვეტური მეთოდით გაიბურღა 5 ჭაბურღილი სიღრმით თითოეული 8.0-8.0 მეტრი. სულ გაყვანილია 40.0 გრძივი მეტრი.

სამშენებლო უბანზე გავრცელებული თიხნარების და კენჭნარების თითოეული ფენიდან მათი ფიზიკურ მექანიკური თვისებების შესწავლის მიზნით შესაბამისად აღებულია დარღვეველი სტრუქტურის 6 და დარღვეული სტრუქტურის 6 ნიმუში. სულ 12 ნიმუში, გარდა ამისა, ძირითადი ქანების მზიდუნარიანობის განსაზღვრის მიზნით, გამოფიტულ შრიდან აღებული იქნა დაურღვეველი სტრუქტურის 3 ნიმუში. გრუნტის წყლის აგრესიული თვისებების შესწავლის მიზნით აღებული იყო წყლის 3 სინჯი. რომლის კვლევა ჩატარდა შპს „თბილინვესტპროექტის“ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, ხოლო ძირითადი ქანების შესწავლა განხორციელდა სსიპ გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტში.

გარდა აღნიშნულისა გამოყენებულია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საარქივო შპს „თბილინვესტპროექტის“მასალები ჩატარებული 2016 წ სტანისლავკის № 5-ში, რომელიც მდებარეობს 60–70 მ მანძილზე ჩრდილო–აღმოსავლეთით.

როგორც საინჟინრო-გეოლოგიური კვლევიდან ჩანს, სამშენებლო მოედანზე გავრცელებულ გრუნტებში, გამოკვლეულ სიღრმემდე (8.0 მ) გამოყოფილი იქნა 5 ფენა, აქედან 4 საინჟინრო–გეოლოგიური ელემენტი (სგე):

ფენა 1 – ნაყარი, წარმოდგენილია თიხნარების მასით აგურის და ბეტონის ნამტვრევების ჩანართებით, შემკვრივებული. გავრცელებულია თითქმის უბანზე მიწის ზედაპირიდან 1.5–1.7 მ სიღრმემდე.

ფენა 2 – I სგე – თიხნარი მუქი ყავისფერი, კენჭების ჩანართებით, ძნელპლასტიკური კონსისტენციის. გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე ნაყარი ფენის ქვეშ, 2.7 – 3.2 მ სიღრმემდე, რომლის სიმძლავრე ცვალებადობს 1.0–1.7 მეტრის ფარგლებში.

ფენა 3 – II სგე–კენჭნარი ხრეშოვანი თიხნარის 30%-მდე შემავსებლით. გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე ფენა 2 თიხნარების ქვეშ 4.8–5.3 მ სიღრმემდე, მისი სიმძლავრე ცვალებადობს 1.7–2.6 მ-ის ფარგლებში.

ფენა 4 – III სგე მოყვითალო–მონაცისფრო ქვიშაქვების და არგილიტების თხელშრეებრივი ფენების მორიგეობა, ძლიერ გამოფიტული, ძლიერ ნაპრალოვანი. გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე კენჭნარების ქვეშ 6.3–6.7 მ სიღრმემდე. მისი სიმძლავრე 1.3–1.7 მ-ს არ აღემატება.

ფენა 5 – სგე IV სქელშრეებრივი ქვიშაქვები თხელშრებრივი არგილიტების შუაშრეებით, მონაცისფრო–მოლურჯო ნაკლებად გამოფიტული., საშუალო სიმტკიცის. გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე გამოფიტული ფენა 4-ის ქვეშ შესწავლილია 8.0 მ სიღრმემდე. 1.5–1.7 მ-ის ფარგლებში.

გრუნტის წყალი გამოვლენილია ყველა ჭაბურღილში მიწის ზედაპირიდან 3.1–3.3 მ სიღრმეზე დამყარებული დონე დაფიქსირებულია 3.0 მ სიღრმეზე. წყალი ხასიათდება ძლიერ სულფატური აგრესიულობით.

დასკვნები და რეკომენდაციები შედგება 6 პუნქტისაგან, სადაც აღნიშნულია, რომ სამშენებლო უბანი და მიმდებარე ტერიტორია მდგრადია, რადგან უარყოფითი საინჟინრო-

გეოლოგიური პროცესები არ აღინიშნება. ხოლო საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება I მარტივ კატეგორიას. გამოყოფილია 5 ფენა მათგან 4 სგე: ფენა 2–სგე I თიხნარების, ფენა 3 –სგე II ხრეშოვანი კენჭნარის, გამოფიტული თხელშრეებრივი ქვიშაქვებისა და არგილიტების ფენა 4– სგე III-ის და ნაკლებად გამოფიტული სქელშრეებრივი ქვიშაქვები თხელშრეებრივი არგილიტების შუაშრეებით ფენა 5 –სგე IV -ის სახით. №6 ცხრილში მოყვანილია მათი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები. მოცემულია გრუნტის წყლის დონის ცვალებადობის დონეები, მათი სულფატური აგრესიულობის შესახებ და რეკომენდაცია სულფატმდგრადი ცემენტის გამოყენების შესახებ. მოყვანილია გრუნტის წყლის მოდენის რაოდენობა ქვაბულის ყოველ კვადრატულ მეტრზე. პნ 01.01-09 მიხედვით მოცემულია უბნის სეისმურობა 8.0 ბალი და გრუნტების კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით II, მოყვანილია გრუნტების ჯგუფები დამუშავების სიძნელის მიხედვით აღებული ს. ნ. და წ. IV-2-82 ცხრილი I-ის მიხედვით და ქვაბულებისა და თხრილების ფერდების მაქსიმალური დასაშვები დახრა ს.ნ და წ. 3.02.01–87 წ. პ.პ–3.11, 3.12, 3.15 და სნ და წ. III–4,80– მე–9–ე თავის მიხედვით.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ჩატარებული სამუშაოებიდან მიღებული მონაცემები აკმაყოფილებს დაპროექტების მოთხოვნებს, რის გამოც ქ. თბილისი. აგლაძის ქ. №59, ნაკვეთ ს.კ.01.13.05.003.085-ში საწყობის შენობის და ქ. თბილისი. ა. წერეთლის გამზ. №118, ნაკვეთ ს. კ. 01.13.05.002.048-ში სავაჭრო ცენტრის მშენებლობის უბნების .საინჟინრო–გეოლოგიური კვლევების ანგარიშს ვაძლევ დადებით დასკვნას.

ექსპერტი,
ინჟინერ-გეოლოგი ი. სამხარაძე

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01015019995

სახელი მურმან

გვარი სამხარაძე

დაბადების თარიღი 04 10 1946

დაბადების ადგილი გაგრა

ეროვნება ---------

N°ა 0586776

მ. სამხ

პირადი ხელმოწერა

მისამართი

თბილისი, ცორცასლის ქ.№37

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება

თბილისის მთაწმინდა კრწანისის I-ვან

გაცემის თარიღი 23 09 2004

მოქმედების ვადა უვადო

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა

ელ. ფოსტა

murmansamxaradze@mail.ru

ტ. 272-18-79 237-52-46

ექსპერტის – სარეგისტრაციო ფორმა

გვარი, სახელი	მურმან ხაჭარაძე
პირადი №	01015019995
საცხოვრებელი მისამართი	ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა № 37, ბინა № 37
საკონტაქტო ტელეფონი	272.18.79 237–52–46,
ელ. ფოსტა	–
საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული ობიექტის დასახელება და მისამართი	ქ. თბილისი. აგლაძის ქ. №59. ნაკვეთ ს.კ.01.13.05.003.085-ში საწყობის შენობა და ქ. თბილისი. ა. წერეთლის გამზ. №118. ნაკვეთ ს. კ. 01.13.05.002.048-ში სავაჭრო ცენტრი
საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული სახეობა	მშენებლობის პროექტების ნაწილების საექსპერტო შეფასება
საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების ნაწილები	საინჟინრო–გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება
შემთანხმებელ ორგანოში წარსადგენი დოკუმენტები	ა) პირადობის მოწმობის ასლი; +
	ბ) პირადი ინფორმაცია (CV); +
	გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, სერტიფიკატები); +
	დ) ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ; +
	ე) დადასტურებული /დამოწმებული ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ, ობიექტის დასახელებისა და მისამართის მითითებით +
	ვ) ექსპერტობის კანდიდატის დეკლარაცია, მიწოდებული ინფორმაციის სისწორის შესახებ +
ხელმოწერა	
თარიღი	27. 12. 2017 წ.

დიპლომი	**ДИПЛОМ**
Щ № 280499	Щ № 280499
ეს დიპლომი მიეცა მურმან ნიკოლოზის-ძე სამხარაძეს მასზე, რომ იგი 1965 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის სახ. საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1970 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის	Настоящий диплом выдан Самхарадзе Мурману Николаевичу в том, что он в 1965 году поступил в Грузинский ордена Трудового Красного Знамени политехнический институт им. В.И. Ленина и в 1970 году окончил полный курс названного института
სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია	по специальности Гидрогеология и инженерная геология
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1970 წ. „1" ივლისის გადაწყვეტილებით მიენიჭა სამთო ინჟინერ-ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.	Решением Государственной экзаменационной комиссии от „1" июля 1970 г. присвоена квалификация горного инженера-гидрогеолога
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე	Председатель Государственной экзаменационной комиссии
რექტორი	Ректор
მდივანი	Секретарь
ქალაქი თბილისი 1970 წ. 2 ოქტომბერი	М. П. Город Тбилиси „2" [illegible] 1970 г.
სარეგისტრაციო № 20714	Регистрационный № 20714
Грузинский	Московская типография Гознака. 1969.